

206

செய்தல்
பி. 64

செய்தல்
பி. 65



"მთელი" 1899 წ.



36277

ბიბლიოგრაფია

I

„საქართველომს ძველი დროის თავგადასავალი, ლექსად დაწერილი“. — გამოცემა დეკ. დავ. ლაბაშიძისა. ფასი ორი აბაზი.

აღნიშნულ წიგნის გასინჯვა და განსილვა გვარწმუნებს, რომ მისი ავქსონი ყოფილა კარგი მგოსანი და, რაიც უფრო ძვირფასია ჩვენთვის, პირუთენელი ისტორიკოსი. ჩინებულ ავქსონს, რომელიც, სამწუხაროდ, არ იხსენიებს არც თავისს სახელსა და არც გვარს, წინ წაუძღვარებია სიმართლე და ჭეშმარიტების ძაფზე აუსწამს ისტორიული ამბები, მოთხრობილი «ქართლის-ცხორებაში». მოკლედ რომ ვთქვათ, ეს შრომა არის იგივე საქართველოს ისტორია, მარტივის ენით და ლექსად გამოთქმული მამულის მოყვარე მწერლისაგან.

იწება წიგნი გურამ ბაგრატიონის ისტორიის მოთხრობით და თავდება დიმიტრი თავადაბულის ამბით. ამ წიგნში ავქსონი ლექსაგს მხოლოდ იმ დროის ისტორიას, როდესაც მეფობდნენ ბაგრატიონთა გვარის მეფეები, თუმცა-ღა იგი გვპირდება, რომ თარგამოსიანთა და ნუბროთიანთ მეფეების ისტორიასაც მოგი-თხრობთა, ამათი ამბავიც:

„ს ხ ვ ა უ ა მ ს ი თვისსა მოგეთხრასთ, არ დაშთეთ მიუწლომელი“ (გვ. 7).

გარნა არა სჩანს, ავქსონს შეუსრულებია თუ არა ესკვითარი თვისი დაბეჭება. სამწუხაროდ არც ისა სჩანს, სახელდობრ, რომელ საუკუნეში უცხორებია ჩვენს ავქსონს, დიმიტრი თავადაბუელით

თავდება მისი მოთხრობა, თუ კიდევ ამის შემდეგი დროის ისტორიას გაუღუქსაგს. წიგნის დამწერი იმ დროის მწერალია, როდესაც საქართველოში უკვე იმძარბოდა თოფი; ეს სჩანს იქიდან, რომ იგი იხსენიებს ამ იარაღს (იხ. გვ. 193). ამიტომაც ვთქვამთ, რომ ამ შრომის გაგრძელება კიდევ უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს თვით გამომცემლის სიტყვებიც: «ბოლო (წიგნისა), როგორც სჩანს, აკლია, და წიგნი ისეა აკინძული, რომ უკანასკნელ ფურცელს გადატანის ნიშნები აქვს».

თვით ეს წიგნი, როგორც ამბობს გამომცემელი, ყოფილას კუთვნილება ივანე ბატონიშვილისა და მას თავის სხვა წიგნებთან ერთად მიუყვება ზეტურბურგის საჯარო ბიბლიოტეკისათვის. მთელი წიგნი (სელსწერი) შესდგება ორ ნაწილისაგან. მეორე ნაწილი გამომცემელს უკვე დაუბეჭდა და პირველის დაბეჭდვასაც აზიარებს. ამ პირველ ნაწილში გაღუქსილია ძველი აღთქმა — ქვეყნის შექმნიდან დაკითხვით-სოლომონამდე და ამის შემდეგ მოთხრობილია ცნობები საქართველოს შესახებ. სამწუხაროდ, გამომცემელი არ ამბობს, თუ ზეტურბურგის საჯარო წიგნთსაცავისგან ვინ გადმოწერა ეს საყურადღებო წიგნი და რადენის სიმართლით.

და ასე, ჩვენ-მიერ გასინჯული წიგნი არის ნამდვილი მატრიანე და სამართლიანად მას უნდა ეწოდოს «გაღუქსილი ქართლის ცხოვრება».

ეს გაღუქსილი «ქართლის ცხოვრება» ზოგიერთგან შეავსებს უკვე დაბეჭდილ «ქართლის ცხოვრებას». სჩანს, ავქსანს თვისი შრომის წერის დროს ხელში ჰქონია ან უკეთესი ვარიანტი «ქართლის ცხოვრებისა» და ან სხვა წყაროებიდან უხელომდგანელებია.

დაბეჭდილი «ქართლის ცხოვრება» ბუნდოვანად გადმოგვცემს ბატონიშვილის შემოსვლას საქართველოში, ხოლო გაღუქსილი «ქართლის ცხოვრება» უფრო სრულად მოგვითხრობს იმავე ბატონიშვილის წინაპართა ისტორიას. შეიძლება ძმამ, რომელთაც თანაჲ ვუვანდათ ყმანი და ყმათა შვილები,

„განდიდებულის ბანაკით ვლეს სხვა-და-სხვა ადგილები,

მათ მოვლეს ფილისტიმითგან მრავალნი ქვეყნის კიდენი,

ქვეყანათა განიკდიდეს, უძლოდიან თანა-მყოლსა,
 მათათა სჭვრეტდენ ველოვანთა, უმზერდიან ყვავილ-მოლსა;
 ერთგან შეზვდენ ქვეყანასა, არ უდრიან სხვისა ტოლსა,—
 კერძო იყო აზიისა, თანა შერთვით ან ა ტ ო ლ ს ა.“

ამ ანატოლით გამოვიდნენ და

„პაოსის და ქართლოსისა წილხდომილი მოკლეს წვრილად,
 ქართლოსის ხვედრს ედემისა მსგავსად სჭვრეტდეს შემკობილად,
 უსაზომოდ შეუყვარდათ, იყვნენ დგომის მონდომილად“.

მოკლეს რა უკვდავ ქვეყნები და მოეწინათ რა საქართველო და
 სომხეთი, მოვიდნენ რასილ დედოფლისას და მოინათლნენ. ამათგან
 ბაგრატე შეესიდა რასილ დედოფალს, სოლო დანაშთენ ძმათგან
 რანი ისიდა სომეხთა მეუბე და რთხნი ვი საქართველოში შემო-
 ვიდნენ (508 წელს). ამათ შორის იყო გურამი, რამეჟმაც შეიერთა
 ვახტანგ გორგასლის ასული (იხ. გვ. 3—5).

«ქართლის ცხოვრებით» რაქაელი იყო დედოფალი ეკლეს
 (ანატოლიაში), მასთან მივიდნენ მუშელ, ბაგრატე, აბგავარ, გურამი,
 სანჯა, ასამ და ვარსკვლავი. ბაგრატე შეიერთა რაქაელის ასული,
 მუშელ და აბგავარ სომხეთში დასასლდნენ, გურამი შეიქმნა სიძე
 ვახტანგისა და შემდეგ გაქეუდა, სოლო მისი დანაშთენი ძმები
 გამოთავრდნენ კასეთის მხარეს.

ამ გვარი საყურადღებო ცნობებით სავსეა მთელი წიგნი. აქსონნი
 დიდის სიტრფიადით ლექსავს დავით აღმაშენებლისა და თამარ
 მეფის ისტორიას. აქსონის აზრით:

„სამნი არიან ქართლისა ღირსი ხსოვნისა მეფენი,
 რომელნი იყვნენ სასტიკად მტერთა სისხლისა მჩქეფენი,
 ვის დროთა ქართლი ჰყვაოდა, იყვნენ სახელის მკრეფენი“.

ამათგანი ერთია ვახტანგ გორგასალი, მეორე დავით აღმაშენე-
 ბელი და მესამე თამარ დედოფალი.

«ქართლის ცხოვრებაში» რამ მოთხრობილია გლოვა თამარ
 დედოფლისა, იგი დიდის ხელაქებით და ცოტა ვრცლად გალუ-
 ქსილია ჩვენის აქსონის-მიერ. გლოვობენ რიგ-რიგად და მოთქმით
 ჯერ ქართლენი, მერე იმერელ-მეგრელ-გურულ-აფხაზნი, შემდეგ
 სამცხე-საათაბაგოლენი, მერე კასენი და ბოლოს თუშ-ფაგ-ხეკესურ-
 მთიულნი. საკვირველი ის არის, რამ ამ უკანასკნელთა გლოვა

ძლიერა ჭკავს მათ მიერვე მოთქმით ტირილს ერქვას II-ის კუბოს წინაშე.

იმოდენი თავისებურება აქვს ამ თუშ-ფშავ-ხევსურთა მიერ თამარის დატირებას, რომ არ შემიძლიან აქვე არ ამოვწერო მისი ნაწევები.

მოდგნენ თუშ-ფშავ-ხევსურნი მეფისა სახლსა ჩვეულნი.
„გვიჩვენეთ ჩვენი ბატონი?“
„შეუძღვენენ, სრასა შევიდნენ ვით მტერზედ გამარჯვებულნი.“

როს განიცადეს კუბო და ოქროსა ტახტსა დებული,
„რა არსო ესე, რა არსო?“ შეიქმნენ განცვიფრებული.
„იქმნება მეფე ძილად წვეს! იყავით დაწყნარებული,
ნურვინ ყაყანებთ, დაჩუმიდით, ვიყენეთო გაჩუმებული!“

„რად არ ასდგები, ბატონო, შენ არ ხარ ჩვეულ ძილისა,
ამ სიგრძელ შენი ტახტს წოლა ჩვენ არ გვახსოვსო გმირისა,
მოგსულღართ შენნი ერთგულნი, არ მხსოვნნი შენგნით ჭირისა,
ვა-თუ ჩვენ მიერ გწყენოდეს, გყო მოხსენებად ძვირისა!“

მოიხადეს თავსა ქუდი, იარადი შემოიხსნეს,
იწყეს მოთქმა საშინელი, არდავისა დაეკითხნეს...

მოსთქმიან ხმასა მთიულნი, ფანტურით საწყლათ ტირიან:
„ვაჲ, ჩვენო ძმანო თუშ-ფშავნო!“—უბატონობას ჩივიან,—
„ხევსურნო ციხის ამღებნო!“—ხმა მალლა ამას ყვირიან,—
„აწ ვინა გვიყოს თამარის მაგიერობა!—ყვირიან.“

„ვაჲ, მთის ხალხნო, ბატონი გვიწყრების, გვიწყრების გულითა,
არც ჩვენი ესმის სიტყვის თქმა, გაგვრიდა შორად სულითა,
ზომ ჰხედავთ, ჩვენო მოძმენო, მეფე არს ჩვენზე ლულითა!
ვიციო, შენს უკან არ ვარგ ვართ, ვიქმნენით ყოვლნი კრულითა!“

„მშვიდობით, დიდო მეფეო, მშვიდობით გმირად მბრძოლო და,
მშვიდობით, ერთგულთ მოწყალევე, მშვიდობით, ობოლთ მზრდელო და,
მშვიდობით, ბრძენო სიტყვითა, მშვიდობით, მტერთა მკვლელო და!
ვით გესალმებით, არ ვიციო, სად გაქვს საცხოვროდ ბოლოდა!“

„რად ესალმებით, მოყმენო!“—ურთიერთს ეუბნებოდეს:
„თან წაგვიყვანე, ბატონო, გული შენთანა გვეყვებოდეს,
იქნება მარტოს მტერი გხვდეს, თუშთ ხმა არ გვეყურებოდეს.
ჩვენთვის სირცხვილ არს, ფშავ-ხევსურ რომე არ შენთან კვდებოდეს!“

„მშვიდობით, თუშთა იმედო, მშვიდობით, ფშაველთ მყვარო-და,
მშვიდობით, ხევსურთ საუნჯევე, მშვიდობით, მტერთა მმზარო-და,
მშვიდობით, არაგველთ ძალო, მშვიდობით, ქსნელთა მძღვარო-და,
ერთობლივ გიორგიელთა, მეცხვარ-მწყემს-წინამძღვარო-და!..“

თქმულებას, რომ ცოცხალი თამარ მეფე ცოლად ვერ შეირთეს
ვერც ყანმა და ვერც სულთნებმა და განიზრასკეს მკვლარი ამოკლთ
საფლავიდან და შეებილწებინათ. ჩვენს აქსონს თამარისაკე ანდერძად
უქტევი და ასრე გაუფქსია:

ანდერძი ნახეს მეფისა თამარის დატოვებული:

„ჰქმენითო სამნი კუბონი, თვალ-ოქროთ განშვენებული,
ერთი დამარხეთ მცხეთასა, ერთი ვარძიას დებული,
მე დამმარხეთო გელათში, არ მყონ თათართა ვნებული.“

თამარი ვერ ცოცხალი იყო, — განაგრძობს აქსონი, — და
ნუქარდიან სულთანმა დააქადაგა, რომ ოდეს მოკვდება მეფეო, მაშინ
წავალა, საქართველს ავახსრებო და მერე

„სადაც დამარხვენ მეფესა, უქმნა მის საფლავს ძვრანია,
ცოცხალს ვერ ვუყავ რაც მწადდა, მკვდარსა ვყოფ შენასვარი!“

და ამიტომაც ქართველთ აღასრულეს თამარ მეფის ანდერძი:

„ერთი მუნ დაფლეს, ერთი მუნ, მტერთა ვერა ჰქმნან ძებნანი“.

წიგნში შეზარულა ანა ერთი გარტეკტურული შეცდომა და
არც საჩივეი აქვს ჩართული. კარგი იქნება, თუ გამომცემელი ამ
ძეგლს კვლავ ააცილებს აღნიშნულ ნაკლს.

მ. ჯანაშვილი

894.63-09

~~947.022(093)~~

5 202